

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარე ქუ-
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дროба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მან. რედაქციის სტრიქონზე-
ბისა ითვლება მათგან დატვირთული სტრიქონი-
ლომანვედ.
თუ საქართველო მოიხრის, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент., конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

თავადი რაფიელ ერისთავი
ღღეს, მარტის 7-ს, არწრუნისეულს
თეატრში წაიკითხავს

ლექცია

მართულს ლიტერატურაზე, მეოთ-
ხე საუკუნედან მეთვრამეტემდე.
ბილეთები იყიდება იქვე თეატრის კასაში.

თავად-აზნაურობის დღე- სასწაულის გამო

თბილისი, მარტის 7-ს

მომავალ მაისის თვეში მთელის
რუსეთის თავად-აზნაურობას მოეღოს
დღესასწაულობა იმპერატრიცა მკატე-
რინე მეორისაგან ბოძებულის სიგელის
გრაზობის გამო. შოველ საქმეში, რო-
მელიც საზოგადოდ რუსეთის უმაღლეს
წოდებას შეეხება, საქართველოს თა-
ვად-აზნაურობას თვალსაჩინო ალავი
უნდა ექიროს. მკრეთი მნიშვნელობა
დამკარებულია პირველად ყოვლისა
მისს სიმრავლესზე—საქართველოს თა-
ვად-აზნაურთა რიცხვი ბევრად არ ჩა-
მოუდგება მთელის იმპერიის ამავე წო-
დების წევრთა რიცხვს; გარდა ამისა
ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავი ისახე-
ლა ერთ-გულობითა და სიმამაცით
სამხედრო ასპარეზზე. ამჟამად, ამითი
მას უნდა დაემსახურებინა მმართველ-

ლობის ყურადღება. ცხადია, მამსა-
დამე, რომ ყოველს წოდებრივ საქმე-
ში საქართველოს უმაღლესს წოდებას
ერგება თუ პირველი არა, მეორე
ადგილი მაინც და მის ხმას ყოველს
შემთხვევაში ძალა და გავლენა უნდა
ჰქონდეს.

ხარკოვის გუბერნიის თავად-აზნაუ-
რობას ეკუთვნის პირველი აზრი მო-
მავლის დღესასწაულის გამართვისა—
ჩვენც იმას ზურგი ვაფუძვლებთ, თა-
ნაგრძობა გამოვუცხადეთ და ვისურ-
ვეთ მონაწილეობის მიღება. ამის თა-
ობაზე თბილისში უკვე მოხდა გან-
კარგულება; იმედია, იმერეთი და ბუ-
რიაც არ დაიჯიანებენ. მსარგებლობთ
ამ შემთხვევით, რომ მოვავანოთ
ჩვენს მკითხველებს მკატერინესაგან
ნაბოძების სიგელის საგანი, მაშინდე-
ლი რუსეთის თავად-აზნაურობის მდგო-
მარეობა და ის გავლენა, რომელიც
მოახდინა ჩვენთა წოდებათა ურთიერ-
ობაშია ამ სიგელმა.

რუსეთის თავად-აზნაურობის განვი-
თარების ისტორია სამს პერიოდს შე-
იცავს: პირველი მცამეტე საუკუნემ-
დე, მეორე—პეტრე პირველამდე, ესე
იგი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყი-
სამდე და მესამე მკატერინე მეორის
მეგობამდე. პირველ პერიოდში დიდ
მთაგრეხს ჰყავდათ ერთ რიგი ჯარი
(дружина), რომელსაც ამაღის ხა-
სიათი ჰქონდა. ამ ჯარზე იყო დამუ-
რებული მათი ძალა და ღონე, ის იყო

უმთავრესი საფუძველი მათი ძლიერე-
ბისა, ის იყო მონაწილე კირისა და
ლხინისაც. იგი განიყოფებოდა ორ-
ნაწილად: ბოიარები და ბოიარების შვი-
ლები (боярскіе дѣти). დიდს მთა-
ვარს არავითარს განკარგულების მი-
ღება არ შეეძლო მათ დაუკითხავად,
იმათ რჩევაზე იყო დამოკიდებული
ყოველი მოქმედება მთავრისა. შემ-
დეგ საუკუნეებში ამ წოდებას მოემა-
ტა იმ თავადების ჩამომავალნიც, რომ-
ელთაც თითქმის დამოუკიდებელი სა-
მთავროები ჰქონდათ (удѣльные кня-
зья).

მეორე მოსკოვის პერიოდში უმაღ-
ლესი წოდება წარმოადგენს სამს გან-
ყოფილებას: უმაღლესს ბოიარულ არის-
ტოკრატას, აზნაურებს და ბოიარების
შვილებს. შეელანი ესენი ვალდებულ-
ნი იყვნენ სამსახური გაეწიათ სახე-
მწიფოისათვის და აღესრულებინათ
ყოველი ბძანება მთავრისა. უმაღლესი
არისტოკრატია დაახლოვებული იყო
ტახტისა, შეადგენდა მთავრის რჩევას
და არა ერთხელ ცდილა მთელი სა-
ხემწიფოს მმართველობა ჩაეგდო ხელ-
ში. რა თქმა უნდა, უმეტესი პატივი
იმას ჰქონდა, ვინც შთამომავლობით
უფრო ძველი იყო, — ის იყო მოწინა-
ვე ყოველ საქმეში და მთელი ქვეყ-
ნის ბედ-იღბალი ამისთანებს ხელში
ჩაებოძათ.

ხოლო პეტრე დიდმა დაამცირა
შთამომავლობის მნიშვნელობა, მო-

უსპო ის სიამაყე, რომელიც გვაროვ-
ნობის სიძველეს იყო აწებებული და
აღმოცენებული. პეტრე პირველის დე-
ვიზი იყო რუსეთის დიდება, მისი ძღა-
კება. ამ აზრის შესრულებისათვის
არავითარს მსხვერპლს არ ერიდებოდა;
მამობრივს გრძობასაც ზურგი შეუქ-
ცია ამ საგნისათვის: შეიღს სიკვი-
ლით დასჯა განუწყესა, როცა იცნო
იგი მოლაღატედ და თავის მოქმედე-
ბათა მოწინააღმდეგედ. პეტრემ შემო-
იღო გერმანიული წესი—табель о
рангахъ, რომლით გაუხსნა გზა ყვე-
ლას, ვისაც თავის ნიჭით რაიმე სამ-
სახურის გაწევა შეეძლო და სარგებ-
ლობის მოტანა ქვეყნისათვის. მს ისე-
თი აქტი იყო, რომლითაც ყველას,
თუნდა გლეხიც ყოფილიყო, აზნაუ-
რობის ხარისხის შექმნა შეეძლო, უკე-
თუ აღნიშნულ ჩინამდე მაღლედდა,
როგორც სამხედრო, ისე სამოქალა-
ქა ასპარეზზე. თუმცა იმის წინდ
მეფე მეოდორემ ადგილებზე ცილო-
ბა მოსპო (мѣстничество), მაგრამ
მისს განკარგულებას ფორმალური ხა-
სიათი ჰქონდა; ხოლო პეტრემ თავისი
წოდებრივის ტაბელებით სულ დაამ-
ცირა შთამომავლიან არისტოკრატის
თავ-მოყვარეობა—დამსახურებას მია-
ნიჭა უაღრესი მნიშვნელობა. მს
კიდევ არ აკმარა—აზნაური თუ თა-
ვადი ვალდებული იყო მთელი თა-
ვის სიცოცხლე სამსახურისათვის შე-
ეწირა; რაიმე საწინააღმდეგო, ან

სამეგრელო (გუგუშინ*)

მეორე ქალი თავადის ალექსანდრე
ზარსევისძის ჰაეკავაძისა, მკატერი-
ნე, რომელმაც ორმოც წლებში შე-
იტო სამეგრელოს მთავარი ღვეით
დადიანი, ისევე აღიზარდა, როგორც
იზრდებოდნენ მაშინ საზოგადოდ რუსე-
თის ყველა გამოჩენილი და შეძლე-
ბული გვარის შვილები. მუსიკა, სიმ-
ღერა, ხატვა, ფრანკუზული ენა და
ტანცობა შეადგენდა მაშინდელის ქა-
ლის განათლებას. მკატერინეს უფრო-
სი და ნინო რამდენიმე წლის ქვრივი
იყო ჩვენის გამოჩენილის ბრიბოვდო-
ვისა, როდესაც მან გამოიყვანა ცხოვ-
რებაში თავის მეორე და. ორივენი
შესანიშნავი სილამაზისანი იყვნენ და
თაყვანსა სცემდნენ მათ სიტუტურეს თბი-
ლისის მაშინდელი ყმაწვილ-კაცობა,
რომელთა შორის ბევრი იყვნენ გა-
მოჩენილის გვარისანი და პეტერბურ-
გიდამ ძავესიაში მოსულნი სახელის
მოსახვეტელად. თვით ბრიბოვდოვი

თავის ცოლის ნინოს „მადონას“ ეძახდა,
რომლის საოცარს თვალებშიაც სიმ-
შვედე და გულ-კეთილობა იხატებო-
და; ნინო სრულიად განირჩეოდა თავის
დის მკატერინესაგან: ეს უკანასკნელი
იყო ცქეტი, მხიარული, მოსწრებუ-
ლი სიტყვის მოქმელი და თვალები
ცეცხლის მსგავსად ჰქონდა აღზნებუ-
ლი. ღა, აი, როდესაც თაყვანის მცე-
მელთა შორის, რომელნიც მკატერი-
ნე ალექსანდრეს ასულს გარს ეხვიე-
ნენ, გამოერია ისეთი საქმროც, რო-
გორც ღვეით დადიანი, ყველანი უკუ-
დგნენ. მშობლებმა სიამოვნებით მის-
ცეს დადიანს თავიანთ ქალი და იმანაც
საჩქაროდ წაიყვანა სამეგრელოში სა-
მუდამოდ.

თუმცა ცოლ-ქმარი ერთმანეთის სა-
ფერონი იყვნენ, მაგრამ მკატერინე
ალექსანდრეს ასულის თბილისი დამ სა-
მეგრელოში წასვლა ცოტა არ იყოს
სამძიმო იყო. მთავრის ახალ-გაზდა
მეუღლე შეუდგა ახალს ცხოვრებას,
რომელსაც მის წარსულ ცხოვრებას-
თან არავითარი კავშირი არა ჰქონდა.
საქმის მოყვარული დადიანი ჯერ ისევე
მამის სიცოცხლეშივე განაგებდა სამ-
თავროს და სულ იმაზედ ზრუნავდა,
თუ როგორ გაეუმჯობესებინა თავის

მამული. დილით საღამომდის გამგე-
ლობაში გართული იყო, არავის თავის
საქმეებში მონაწილეობას არ აღე-
ბინებდა და განსაკუთრებით უფრო
თავის ცოლს; მას მიანდა მხოლოდ
ზუგდიდის ბაღის მოვლა, რომლის
გასაუმჯობესებლადაც ფულს არ იშუ-
რებდა. ცოლმა სიამოვნებით მოჰკი-
და ამ საქმეს ხელი. სამღვარ-გარე-
თი დამ სწავლული მებაღე დაიბარა;
ძვირფასი ხეხილების ნამყენები და
თესლეულობა მიღანიდამ მოსდიოდა.
სამეგრელოს ბუნებაც დაეხმარა მის
მეცადინეობას და ათი წლის განმავ-
ლობაში ისეთი მშვენიერი ბაღი გაუ-
შენდა, რომლისთანაც არც მაშინ და
არც შემდეგ მთელს ძავესიაში არ
იყო. რასაკვირველია, მარტო ბაღის
მოვლა მას არ აკმაყოფილებდა, იგი
უფლიდა შვილებსაც, რომელნიც სა-
უბედუროდ, ხშირად ავადმყოფობდნენ.
მას სამი შვილი მოუყვდა. შვილების
სიკვილიმა იგი ძალიან შეაწუხა და
გულს მხოლოდ თბილისში ჩამოსე-
ლით და მშობლების ნახვით აართბ-
და. ხანდახან თვითონ მშობლებიც
მიდიოდნენ სამეგრელოში. მისი განუ-
ყრელი მეგობარი, რომელიც ხშირად
ეწვეოდა ხოლმე იყო მისივე და ნინო

ალექსანდრეს ასული. მაგრამ ქმრის
სახლში კი, გარდა თავის ქმრის მამის
ლევანისა, რომელიც კეთილი გულის
მოხუცი იყო და აღერსიანადაც ექ-
ცეოდა, ყველანი უცხოსავეთ უყურებ-
დნენ. 1846 წელს ლევანი გადაიცვა-
ლა და მაშინ, ღვეითის დაბარებისა
მებრ, მოვიდნენ პეტერბურგიდამ იმისი
ძმები, ბრიგოლი და პოსტანტინე.
პირველს მათგანს, პოლკოვნიკს გვარ-
დიისას, ცოლად ჰყვანდა იმპერატო-
რის მეუღლის ალექსანდრე მეოდო-
რეს ასულის ფრეილინა კენინა ტერე-
ზია მამიას ასული, რომელიც სმოლ-
ნის ინსტიტუტში იყო ვაზდლილი.
რძლები ხასიათით ერთმანეთს სრუ-
ლიად არა ჰგავდნენ და ეს იყო მიზე-
ზი, რომ ბრიგოლი და მკატერინე
ერთმანეთის მტრები გახდნენ. ღვეითს
კი, პირიქით, უყვარდა ბრიგოლი და
ტერეზია და ყოველსავე თავის საქმეებ-
ში ძმას მონაწილეობას აღებინებდა,
რადგანაც მას თავის თავის თანაშემ-
წედ ამხადებდა. პოსტანტინე პაეების
კორპუსში სწავლობდა; ახალ-გაზდა,
მხიარული, ნადიმობისა და ქვიფის
მოყვარული კაცი იყო. ღვეითი ცო-
ლის მოსართავად არაფერს ზოგავდა,
ყოველსავე ოდესიდამ იბარებდა, მდი-

*) იხილეთ „დროება“ № 49.



უკანონო საქმის ჩადენისათვის ის დაისჯებოდა ისე, როგორც უბრალო გლეხი: მათრახით, ჯოხით, წამებით და სხვ.—ეგრეთს მკაცრ მდგომარეობაში ჩააყენა პეტრემ ის წოდება, რომელიც მეთაურობდა რუსეთის ყოველ გვარ საქმეებში მეთვრამეტე საუკუნემდე. იმპერატორმა ანა იოანეს ასულის განკარგულების ძალით, თავადსა და აზნაურს მიეცა ცოტაოდენი შეღავათი: სავალდებულო სამსახურის ვადა შეემოკლეს და დაუნიშნეს ოცდახუთი წელიწადი. პეტრე მესამემ ამ ვალდებულებიდანაც სრულდებით განთავისუფლა: —ვისაც სურდა, ის იკისრებდა ხოლმე სამსახურს.

ამ მდგომარეობაში იყო რუსეთის უმაღლესი წოდება, როცა მკატრინე მეორემ გადააყენა ტახტიდან თავისი მეუღლე და ეკურთხა ყოვლად ჩოსიის დედოფლად. ნიკიტის, განათლებულს, მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლების აზრებთან და მიმართულებასთან შენათესავებულ იმპერატრიცას სურდა იმ გზაზე გაეყოლა, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნის საუკეთესო ფილოსოფოსნი უჩვენებდნენ. მონტესკიე, ბეკარია, ლიდრო, მოლტერი და სხვ. იყვნენ ამ შემთხვევაში მისი ხელმძღვანელები: თუმცა კი ის თვალახვეული მიმდევარი არ იყო იმათი რჩევისა და აზრებისა და სარგებლობა ამ რჩევით იმოდენად, რამოდენადაც იგი შეეფერებოდა მაშინდელ რუსეთის წესწყობილებას და საზოგადოებრივ ხასიათს.

მრთხელ, როცა ლიდრო უჩვენდა მოგზაო რუსეთის ძველი წყობილებანი, მკატრინემ უპასუხა: „მე დიდის სიამოვნებით ვუგდებ ყურს ყველაფერს, რასაც თქვენი ნათელი ჭკუა გამხილებთ თქვენ; მხოლოდ თქვენის დიდებულის აზრებით, რომელნიც

მე ძალიან კარგად შევიგენი, შეიძლება მშვენიერი წიგნები დასწეროთ, მაგრამ საქმე კი ცუდი გამოვიდეს. როცა ცვლილებებზე მეტაზარაკებით, თქვენ იფიქრებთ იმ განსხვავებას, რომელიც სუფევს თქვენსა და ჩემს მდგომარეობაში: თქვენ მუშაობთ და მოქმედობთ ქალაქში, რომელიც ყველაფერს ითმენს: არ ეწინააღმდეგება არც კალამს და არც გონების მოქმედებას; მე კი, საწყალმა იმპერატრიცამ, უნდა ვიმუშავო ადამიანის ტყავზე, რომელიც, რასაკვირველია, უფრო გრძობიერია“. უნდა დავსძინოთ, რომ ამ გვარი სიფრთხილე ფილოსოფოსების თეორიულ მოსაზრებათა შესახებ იმან გამოიჩინა თავის მეთვრამეტე პერიოდში. თავდაპირველად კი სრულდებით გატაცებული იყო: იმათის გავლენით აღზნებულია, მკატრინემ განიზრახა ძველის კანონების შეცვლა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა, შეპკრიბა რუსეთის ყოველ კუთხიდან ხალხისაგან აღმორჩეული პირები, დეპუტატები, რომელთაც უნდა ემცნოთ მმართველობისათვის ხალხის მდგომარეობა, გაჭირება, მოთხოვნილებანი და ამის შესაფერად შეემუშაებინათ ახალი კანონები; იმპერატრიცამ მიანიჭა დებუტატებს სრული თავისუფლება ლაპარაკისა და მოქმედებისა—და დაუწესა სახელმძღვანელო (НАКАЗЪ), რომლის საფუძველზე უნდა დემკარებინა კრებას თავისი განკარგულებანი და რომელშიაც უყურადღებოდ არ დარჩა არც სამართალი, არც წოდებრივი ურთიერთობა, არც სხვა-და-სხვა წოდებათა მდგომარეობა, არც სწავლა განათლება, არც მმართველის მოვალეობა და არც ქვეშევრდომთა უფლება და ვალდებულებანი. „ძანონ-მდებლობა უნდა იყოს ხალხის ხასიათთან

დათ. მთავარმა იცოდა, რომ თავის მოქმედებით მტრებს იძენდა და რაკი მათგან ჯავრის ამოყრას მოელოდა, ამისათვის იგი თან-და-თან მიუნიღობელი და დაღვრემილი შეიქმნა, შინიდან კარზედ აღარ გამოდიოდა. მისმა ბუნებამ ვერ აიტანა ამნაირი გამოურკვეველი მდგომარეობა, დაიწყო ავადმყოფობა, არა სწამლობდა თავის თავს და ჯერ 41 წლისა იყო, როდესაც აგვისტოში 1853 წელს გადაიკვალა, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენს სამშობლოს დიდი ომიანობა მოელოდა და ბრძოლის ველად სამეგრელო უნდა შექმნილიყო.

ქენია ქვირად დარჩა ოთხის მცირე წლოვანის შვილით, რომელთაგან უფროსი, მთავარი ნიკოლოზი, შვიდი წლისა იყო. ხემწიფემ მკატრინე სამეგრელოს მმართველად დანიშნა, უბოძა ორდენი წმ. მკატრინესი 1-ლის ხარისხისა და დაუწესა სამმართველოს საბჭო, შედგენილი განსვენებულის ღვთის ძემების და სამეგრელოს ეპისკოპოსისაგან.

ჯერ ქმარი არც კი დამარხა მკატრინეს, რომ მურიაში, წმ. ნიკოლოზის ციხესთან, ოსმალები მოვიდნენ

„შეფერებულთა“, ამბობს «ნაკაზი». მოველი ჩვენი მოქმედება მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა ის თავისუფალი, ძალდაუტანებელი და ბუნებისაგან მთანერგილს თვისებასთან შეხამებულია. მოველი მეცადინება იმაზე უნდა იქმნეს მიმართული, რომ კანონებმა მთაუნერგოს კეთილი ჩვეულება ქვეშევრდომთ და არ აღუშფოთოს სული სხვა-და-სხვა გვარ დასჯითა და წამებითა. „მოველი დასჯა, რომელიც კაცის სხეულს ამაზინჯებს, უნდა განიღვენოს“; — ამ გვარის ჰუმანიულის აზრებით არის დამშვენებული დიდებულის იმპერატრიცის ნაწერი. მკატრინემ დაიწყო ამბავი. როცა მკატრინემ ნაკაზი გაათავა, გასასინჯავად გადასცა მაშინდელ გამოჩენილ მწერალს სუმაროკოვს. ნაკაზში იყო სხვათა შორის გლეხების განთავისუფლება მოხსენებული: „მეურნეობა დაცემულია იქ, საცა არავის თავის კუთვნილება არა აქვს“. სუმაროკოვმა შემდეგი შენიშვნები დაუწერა: „რუსეთის გლეხების განთავისუფლება შეუძლებელია, ამიტომ რომ მაშინ ღარიბ მებატონეებს არ ეყოლებათ არც მზარეული, არც შინაქმა და მუშა-გლეხთა და მებატონეთა შორის ასტყდება საშინელი უთანხმოება, რომლის დასამშვიდებლად მრავალი ჯარი იქმნება საჭირო; ახლა კი მებატონეები არხენად ცხოვრობენ თავიანთ მამულებში, ახლა ორივე წოდებას ერთმანეთი ძალიან უყვართ, თუმცა ჩვენს გლეხობას არავითარი კეთილშობილური გრძობა არა აქვს“. იმპერატრიცამ ამაზედ შენიშნა, რომ „ახლანდელ მდგომარეობაში არც შეუძლიან ჰქონდესო. ბატონს სუმაროკოვს ისე არეულ-ღარეული აქვს აზრები, რომ კანონ-მდებლად ვერ გამოდგება“.

და დაიწყო მარად დაუეწყვარი შირიმის ომი.

ამ დროიდან 1856 წლის მარტამდის, ე. ი. ორი წლისა და რვა თვის განმავლობაში, მკატრინე პლექსანდრეს ასული, თავის შვილების მამულის დასაცველად, განაგებდა სამეგრელოს, სადაც ყველა ისე იქცეოდა, როგორც ნებავდა და ამასთანავე ეს მხარე შეიქმნა ომის მოედნად, რომელზედაც ოც-და-ათი-ათასი ოსმალოს ჯარი იღვა.

ამისთანა რთული გარემოებიდამ თვით გამოცდილი და გონიერი მმართველიც ვერ გაიტანდა თავს; არამკონია, რომ თვით ქენიას ქმარსაც გაეწყო რამე ამ დროს, ამისთვის უსამართლობა იქნება სასტიკად შევეხოთ ქალის მოქმედებას, რომელიც შემთხვევით შეიქმნა სამეგრელოს მმართველი.

ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ მის თანამეწყედ დანიშნულნი პირნი არამც თუ შეელოდნ მას, უფრო უსიამოვნებას აყენებდნენ. ამ თანამეწყე პირთა შორის მყოფნი ძმანი ბრიგოლ და პოსტანტინე მუდამ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ და ბრიგოლი კიდევ ქენიას. ძმის სიკვდილის შემდეგ

აქედამ სიანს, თუ რა ცუტა-და-ნაგრიობას პოულობდა. მამხატვრის მმართველობა. საზოგადოება ჯერ კიდევ მოუშვადებელი იყო და დეპუტატთა კრებამ, რომელიც 554 კაცისაგან შესდგებოდა, ევრაფერი საფუძვლიანი ვერ შეიმუშავა, ასე რომ კრება მალე დაირღვა. მკატრინესაც მოლოდინი გაუცრუვდა. ამკარად თავად აზნაურობის წინააღმდეგობა არ შეეძლო მას, რადგან ეს წოდება იყო შემწე იმისი ტახტზე ასვლისა. შემდეგში, როცა გლეხების არეულობა დაიწყო, პუგაჩევის აჯანყებაც მოხდა, მაშინ იმპერატრიცამ სხვა მიმართულება მისცა თავის მოქმედებას. აღუკრძალა გლეხებს საჩივარი თავიანთ მებატონეებზე და თავად-აზნაურობის მნიშვნელობა აღამაღლა. მთას შეიდას ოთხმოცდა ხუთს წელს უბოძა სიგელი (გრაჰოტა), რომლის ძალით მხოლოდ თავად-აზნაურობას მიენიჭა უფლება გლეხების მულობელობისა; ყოველ გვარის გადასახადისაგან და სხეულით დასჯისაგან განთავისუფლებულ იქმნა; იმათ სურვილზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო სამსახური; მიენიჭა უფლება, რომლის ძალით თავად-აზნაურობას შეეძლო სამ წელიწადში ერთხელ კრებები მოესდინათ, ამოერჩიათ წინამძღოლი, განეგოთ ყოველი საქმე, რომელიც იმათ წოდებას შეეხებოდა, დენიშნათ მსაჯულები, თავიანთ საქმეებზე პირდაპირ ემუამდგომლათ ხელმწიფის წინაშე და სხვა. ამ კანონმა, რასაკვირველია, გააძლიერა თავად-აზნაურობის მნიშვნელობა და მიანიჭა იმას სრული უფლება, განეგო გლეხობის ბედობა. მარდა ამისა მმართველობამ თითქმის მილიონამდე საეკლესიო გლეხი აჩუქა სხვა-და-სხვა დამსახურებულ პირებს და ამითაც შეიმატა ძა-

მას იმედი ჰქონდა მმართველი გამხდარიყო, მაგრამ როდესაც ეს იმედი გაუცრუვდა, იგი გულ-გრილად ვერ უყურებდა ქალს, რომელსაც მისი ადგილი ეჭირა. სამეგრელოს ეპისკოპოსი თეოფანე თუმცა ქენიას თანამეწყედ შორის ირიცხებოდა, მაგრამ საქმეებში კი არავითარს მონაწილეობას არ იღებდა.

მპიზოდი მმარ-ფაშის ომისა სამეგრელოში მე ერთს წერილში ავწერე, რომელიც «სამხედრო კრებულში» დაიბეჭდა 1873 წელს; მე, როგორც მნახველი, და ომიანობის გათავებამდის განუშორებლად ქენიას თანამგზავრი, ჩემდა უნებურად შევიქმენ მოწამე ყოველივე აქ აწერილისა. ქენინა წაჩხუბა თ. მუხრანსკის, რომელიც თხოულობდა სამეგრელოდამ იმის წასვლას მას შემდეგ, როდესაც მუხრანსკიმ ბუთიის ჯარით მუთაისის გუბერნიისკენ დაიწია; ქენინა არ გამოსულა სამეგრელოდამ, თავის შვილებით ლეჩხუმში გაიხიხნა და იქ დარჩა იქამდის, ვიდრე შარსი არ აიღეს და ვიდრე არ გაიგო, რომ მუთაისის გუბერნიისაში და სამეგრელოში თ. მ. მ. ბებუთოვი მოდიოდა.

ამ დროის რამდენიმე წერილები



ლა უმაღლეს წოდებაში, რადგან გლეხობას აღკრძალული ჰქონდა თავიანთ ბატონებზე საჩივარი. ბერს ადგილს, უსამართლო მოპყრობის გამო, მოხდა არეულობა, რომლის დამშვიდებას დიდ ძალი ხანი და ჯარი მოუწია. ასე რომ თავდაზნაურობა შეიქმნა ისეთ წოდებად, რომელსაც სრულს მფარველობას უჩინდა ხალხმე სახემწიფო.

ამ განკარგულებათა ის შედეგი მოიტანეს, რომ კიდევ უფრო დააზოგეს ერთმანეთს ეს ორი წოდება და თითქმის მტრული განწყობილება ჩამოაგდეს მათ შორის. მგრეთვე წყობილება გადმოტანილ იქნა საქართველოში, რომელშიც ამ საუკუნის დასაწყისში მიიღო რუსეთის ქვეყნებში, და იგივე შედეგი იქონია, რაც თავის სამომავლოში.

შინაური ქრონიკა

== ბუშინ, ნაშუალამევის მეორე საათზე გაუჩნდა ცეცხლი გენ. ტერასატუროვის სახლს, მამამზოვის ქარვასლის პირდაპირ. ცეცხლი ზედა სართულში გასჩენია, სადაც ბუბერნიის სამმართველო იყო და ეს სართული უფრო დაზიანებულია, ვიდრე ორი ქვევითი სართული. სახლი დაზღვეულია და ობილიისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული.

== მარტი თავისას არ იშლის. ობილისში ძალიან აცივდა. ხან-გამომეებით თოვლი და წვიმა მოდის და ცივი ქარი ჰქრის.

იმერეთში კიდევ დაუთოვია, რაც მოსაველისათვის, უტყველია, დიდად სასარგებლო იქნება, თორემ ეხლა-

მაქვს კნენისაგან ჩემთან მოწერილი; ერთს წერილს დაგებუდაც, საიღამაც ცხადად გაიგებთ სამეგრელოს მაშინდელს მდგომარეობას.

ნაქალაქევი, დეკემბრის 4-ს 1885 წ.

... აი, ეს მესამე დღეა, რაც მე აქ, ნაქალაქევი ვიმყოფები. წყლების აღიღების გამო ადგილიდამ ვერ დავძრულვარ. დღეს ჭეშმარიტად მივდივარ და იქ მოვეუცდი თ. ბებუთოვს; როგორც ამბობენ, ის ეხლა მუთაისშია. შემდეგ ზუგდიდის სანახავედ წავალ და იქილამ გამოგიგზავნით კაცს, რომ თქვენ მინამ ბორღში გადახვიდეთ.

მქერ-ფაშა მშვიდობიანად მიდის. *) ჩვენი ჯარები ვერ გადაიყვანეს. როგორც თქვენც იცით, თ. მუხრანსკომ ყველაფერი უდროვოდ დასწვა. სამეგრელოში ხიდები აღარ არის, იგი ეხლა თვითონ წავიდა, თან წაიღო 500 შტუცერი, წაიყვანა იმერეთისა და სამეგრელოს მილიციები, აგრეთვე ღონისა და ლინეინის ყაზახები. იგი თავის მოქმედებას პარტიზანულს ომს

*) ამ დროს მან თავის ჯარით მდინარე ცნენის-წყლიდამ უკან დაიწია რედუთ-კალესაკენ.

ვე რომ კარგი დარები დაეჭირა — იმერეთის ბუნება ააყვავებდა ბევრ ხეხილს, მუშა ხალხს აამუშავებდა და მერე, ვინ იცის, როგორც შარშან მაისში, ისე ჩამოეყარა თოვლი და დიდი ზიანი მიეცა, როგორც გამოხულ ხეხილებისათვის ისე ნამუშევარისთვისაც.

== შაბათს დრამატული დასის წევრნი: ნატ. მამუნიანი-სავარლისა, დ. აწყურელი, ნ. მრისთავი და ქართული სცენის მოყვარენი მ. თუმანიშვილი, სოფ. მგალობლიშვილი და ალ. მონხევი მიემგზავრებიან ჯერ ცხინვალს და შემდეგ ბორს ჩამოივლიან წერაძითხვის საზოგადოების სასარგებლოდ ლიტერატურულს სადამოყების გასამართავად.

== მესამე დღეა, რაც რუსეთისა და სამხლვარ-გარეთის ფოსტა არ მოსულა.

მედიატორეთა განჩინება

ბ.ბ. გოგებაშვილის და ღულაძის კოლაშიძის შესახებ.

ძართულს პედაგოგიურს ჟურნალ „ნობათში“ დაბეჭდილი იყო, როგორც უწყიან მკითხველებმა, ბიბლიოგრაფიული წიგნი ბ. ბ. გოგებაშვილისაგან შედგენილის წიგნის „ძონის“ შესახებ. მის პასუხად „ძონის“ ავტორმა დაბეჭდა გაზეთს „დროებაში“ სახასია წიგნი, რომლითაც „ნობათის“ რედაქტორმა ბ. ბ. ღულაძემ ჰსცნა „შეურაცხყოფილად როგორც ნობათის პატიოსანი განზრახვები, აგრეთვე პირადი თავის თავი.“ ამის გამო „დროების“ საშუალებით-

ეცხის, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მტრის წინაშე იგინი ვერაფერს გააწყობენ. მხოლოდ საშინლად აობრებენ და ანადგურებენ სამეგრელოს. ამბობენ სულ 3000 კაციო და წარმოიდგინეთ, რა იქნება მათი მდგომარეობა, როდესაც სურსათი არა აქვსთ და მეგრელების ხარჯზედ სცხოვრობენ. ბული მიკვდებოდა, როდესაც მცხოვრებლები ტირილითა და წუხილით ჩემს ცხენს ფენ-ქვეშ უტყვიდებოდნენ. საშინელებაა, რაც აქა ხდება. მუხრანსკი სრულიად აირია; რა ბედნიერებაა, რომ თ. ბებუთოვი მოდისა.

როდესაც ბებუთოვი ნახა და ბუჩიის ჯარის უფროსად, მუხრანსკის მაგივრად, გენერალი მაგნერი დანიშნეს, თვითონ კნენამ რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ოსმალებთან ომში: ნაბად და ყაბალას წამოსხმული, თავის საკუთარის ცხენოსნებით (შინაყმებით), ცხენზედ იჯდა და მტრის ტყვიები ყურთან უზოზუნებდა. ამით იმას უნდოდა დამტკიცებინა, რომ სამეგრელოს მილიცია დანარჩენ მილიციებს უკან არ ჩამორჩება და თუ რამ დანაშაულსა სდებენ — ძველი უფროსის ბრალიაო.

ვე, მოითხოვა ბ. გოგებაშვილისაგან მედიატორების დანიშნა ამ საქმის გასარჩევად მისი მაშინდელი აზრით, მედიატორებს უნდა განეხილათ, როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი და მისი ღირსება, აგრეთვე ბ. გოგებაშვილის საბაასოცა და გადაწყვეტათ: ა) „რამდენად საფუძვლიანად უარჰყოფს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლევდა ბ. გოგებაშვილი თავის თავს ნებას, რომ უპატიურად იხსენიებდა, როგორც „ნობათის“ სახელს, აგრეთვე მისი რედაქტორისას.“

ბ. გოგებაშვილი დათანხმდა მედიატორების აღმორჩევაზე და ესეთი კითხვები დაადგინა პირველად „დროებაში“ დაბეჭდილ პასუხში: 1) მოყრულად ვეჭვებოდა ჩვენ ნობათსა და ეცდილობდით მის წარმატებისა და გაგრცელებისათვის, თუ არა? 2) „საყმაწვილო ძონის“ შესახებ მისი წერილი საფუძვლიანი და ზრდილობიანი, თუ უსაფუძვლო, ბავშური და ბრიყული, და მან ამ წერილით სიკეთისთვის ბოროტი მოგვაგო, ანუ ვინ სტყუვის: ბ. ღულაძე, რომელიც ცდილობს დამტკიცოს, რომ „ძონა“ ყოვლად გამოუსადეგარი წიგნიაო, თუ სტყუოდა კერძო კომიტეტი, რომელსაც შეადგინდნენ ჟურნალის „ძრებულის“ რედაქტორი ბ. პირილე ლორთქიფანიძე და რაოდენიმე მისი თანამშრომელი, რომელმაც ათი წლის წინად განიხილა ჩვენი წიგნი და სწოა იგი იმდენად სასარგებლოდ, რომ, არამც თუ დაბეჭდა იმ ფულით, რომელიც ბ. ზარაფოვმა შესწირა ქართულ საქმაწვილო წიგნების გამოსაცემად, არამედ კიდევ დააჯილდოვა ზარაფოვისავე ოც თუმანიანი პრემიითა. 3) მართლა ჩვენ

საზოგადოდ ამ ომიანობის დროს კნენამ ისტორიული პირის სახელი მოიხსენება. ოსმალების გენერალმა ომარ ფაშამ და მასთან მყოფთ ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელთ შემოუთვალეს კნენას მისულოყო ზუგდიდში და დაეწყო მართვა სამეგრელოსა, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო მეროპის სახელმწიფოებისაგან; მაგრამ კნენამ მათ პასუხი არ გასცა. მკატორინე ალექსანდრეს ასული სხვაფრივ არც მოიქცეოდა, რადგან იგი ეკუთვნოდა შავკვაძეების გვარს და ამ გვარში არ შეიძლება მოლაღატე იყოს ვინმე; თუმცა კნენას ყველანი ურჩევდნენ ზუგდიდში წასვლას, მაგრამ იგი მაინც არ წავიდა. მე თვითონ მოწამე ვიყავ კნენას ასეთის ერთგულობისა რუსეთის მთავრობისადმი, ომი კი რომ გათავდა, ხმები დაეარდა ხალხში, ვითომც კნენას ლაღატი სდომოდეს მთავრობისა და ამისათვის ომარ-ფაშასთან მიწერ-მოწერა ჰქონოდა. მაგრამ როდესაც კნენა შარსის აღების შემდეგ თავის მილიციით მოვიდა, ყოველივე ეს ქორები მოისპნენ. იმის ადგილას სხვა ვინმე პირი რომ ყოფილიყო (როგორიც

რაიმე შეუსაბამო შეურაცხველი შეიყენებ ბ. ღულაძემ, თუ მისი წერილი სწორედ ღირსი იყო იმ გვარი პასუხისა, რომელიც ვაგეთ მას? თუ ბ. ღულაძემ ყასიდად მოიკატუნა თავი, განზრახ ჩასთვალა თავისი თავი შეურაცხყოფილად? 4) სასარგებლოა ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურის აღორძინებისთვის იმ გვარი კითხვა, რომელიც ბ. ღულაძემ უძღვნა „ძონას“, თუ მანებელია და სათაკილო ყოველ ჟურნალისათვის? "

როცა აღმორჩეულნი მედიატორები შეუდგნენ საქმის განხილვასა და მოსახოვეს ბ. ბ. ღულაძესა და გოგებაშვილს კითხვების დადგენა დაბოლოებით, მაშინ ბ. ღულაძემ შესცვალა თვისი, შემოხსენებული კითხვები, უარი განაცხადა გავერჩია საქმე ყოველ მხრით, შევხებოდით „ძონის“ შესახებ დაბეჭდილ წერილის შინაარსს, მის სიმართლესა და საფუძვლიანობას და წარმოუდგინა მედიატორებს გადასაწყვეტად მხოლოდ შემდეგი კითხვა: „მიუხედავად მისა, თუ რადენად მართალია სუბექტიური მსჯელობა ორთა მოწინააღმდეგე მხარეთა წიგნის „ძონის“ შესახებ, ვაისაჯოს და გადასწყდეს კითხვა: შესაწინააღმდეგე ბეჭდვაში ისეთი ლიტერატურული ფაქტმა, რომელიც მათ იხმარეს, თუ არა? "

ბ. გოგებაშვილმა, თავის მხრით, წარმოუდგინა მედიატორებს უწინდელივე კითხვები, მხოლოდ ამ გვარად შემოკლებული: „გარჩევა ვინისა, დაბეჭდილი ნობათში, ზრდილობა კმატყავს, თუ უფრო პიროვანი კიცხვა, სავესე საწყენი და დამამკირებელ სიტყვებით? თუ უკანასკნელი მართალია, ემართლებოდა ბ. ღულაძე გოგებაშვილს, თუ არა? გოგებაშვილმა გამატყუნა თუ არა ბ. ღულაძის წერილი? იხმარა, თუ არა

ბებერი იყენენ მამადიანთ პროვინციების მფლობელთა შორის) ომარ-ფაშის ომს სულ სხვანაირი გავლენა ექნებოდა მასზედ. ძნენა რომ ზუგდიდში გადასულიყო, ოსმალების სარდალი დიდის სიამონებით მიიღებდა, ადგილობრივს მცხოვრებლებს არაფერს დაუშავებდა და დარჩებოდა სამეგრელოში პარიჟის ტრაქტატამდის; მაშინ სამეგრელოს სულ სხვანაირის თვლით შეხედავდნენ. თუ რომ ჩვენ იძულებულნი შევიქმენით დაგვეთმო მტრისთვის ბესარაბიაში ადგილები, რატომ არ დაეთმობდით, თუ რომ მოითხოვდნენ ჩვენგან, სამეგრელოს სრულს თავისუფლებას მეროპის სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ. ძველსაში ამისთანა პოლიტიკური ქვეყანა რომ დამყარებულიყო, მაშინ ყოველსავე ჩვენს მოქმედებას მეროპის კონსულები წინ გადაელობებოდნენ. სამეგრელო კონტრაბანდის, თოფის წამლის და თოფ-იარაღის დებოდ გადაიქცეოდა. ამ შემთხვევაში მკატორინე ალექსანდრეს ასულის დეაწილი დაეწივებას არ უნდა მიეცეთ.



მან საწყენი სიტყვები, და თუ იხმა-
რა, მისცა ბ. ლულოძემ საკმარისი
საბუთო და საფუძველი, თუ არა?
შემდეგ ამისა მოვისმინეთ იმავე
კრებაში, რომელსაც საკმაოდ გარე-
შე პირებიც დაეწრენ, ბ. ბ. ზოგება-
შვილისა და ლულოძისაგან წარმოადგე-
ნილი სადაო საქმის განსამართლებელი
და თავიანთ თავის განსამართლებელი
წერილები, რომელთაც მათ, წაკითხვის
დროს, სიტყვიერადაც დაუმატეს, რაც
რამ სათქმელი ჰქონდათ.

ჩვენ, მედიატორებმა, მივიღეთა
საფუძველად ორივე მოადვე პირთა-
გან წარმოადგენილი კითხვები, განვი-
ხილეთ დაწერილებით, როგორც
„ნობათში“ დაბეჭდილი კრიტიკული
წერილი „ქონის“ შესახებ, ისე ბ.
ზოგებაშვილის პასუხი; მივიღეთ ავ-
რეთვე მხედველობაში ბ. ბ. ზოგება-
შვილისა და ლულოძისაგან წარმოად-
გენილი წერილები თავიანთ თავის
განსამართლებლად და ყოველივე,
რაც კი მათ სიტყვიერად წარმოსთქვეს
ჩვენს წინაშე და დავადგინეთ შემდე-
გი დასკვნანი.

1) ბარჩევა „ქონისა“, დაბეჭდილი
ქურნალს „ნობათში“, ვერ ესკაინთ
ჩვენ შინაგნებალურ კრიტიკად: ის არის
დაწერილი ცხადის განზრახვით დაამ-
ცროს უსამართლოდ, როგორც
„ქონის“ ისე თვითონ მისი ავტორი
საზოგადოების თვალში და დასდოს
ლაქი მის პედაგოგიურსა და ლიტე-
რატურულს ღვაწლს. კრიტიკულს წე-
რილში არის ისეთი ადგილები და
სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა
ჩაითვალოს შეუსაბამოდ, არა საკად-
რისად, შეუწყნარებლად ბეჭდვითი
სიტყვაში, მეტადვე საქმაწვილო პე-
დაგოგიურ ქურნალში, და საწყენად
და კიცხვად „ქონის“ ავტორისა-
თვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბ-
ლიოგრაფიის წერილში, ვითომც ყვე-
ლა გადმოთარგმნილი და გადმოკე-
თებული ზოგებაშვილისაგან მოთ-
ხრობები „ქონისა“ გაუთქმებულნი
იყვნენ, სრულად უსამართლო არის.
ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს
ბიბლიოგრაფიის ავტორს „ქონის“
შინაარსილამ იმ აზრის დასამტკიცებ-
ლად, რომ, ვითომც, შინაარსი წიგ-
ნისა წინააღმდეგი იყვენ მცენიერები-
სა, — სრულიად უსაფუძველო აღმოჩნ-
დენ, როგორც დაგრწმუნდით შემ-
დეგ მათის შემოწმებისა გამოჩენილი
ავტორიტეტების ცნობებითან.

რაიცა შეეხება „ქონის“ ენის
ნაკლულევენებს, საზოგადო მსჯე-
ლობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა
მასზე, რომ, ვითომც, „ქონისა“
წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ
დაგლეჯილ და წამხარის ავლადრულ
ქართულ ენისას, რომელიც დაიბადა
ქართულად მოლაპარაკე სომეხთ-თა-
თართ-ობსთაგან, მედიატორებს მი-
ჩნიათ ნამდვილ ცილის წამებად,
თუმცა-კი, მართალია, „ქონისა“
ნაჩენებია ზოგიერთი ისეთი სიტყვები

და ფრაზები, რომელნიც არ შეესა-
ბამებიან ქართული მართლ-მწერლო-
ბის კანონებს, მაგრამ ამ გვარი ნაკ-
ლულევენება, სამწუხაროდ, საზოგა-
დო ნაკლულევენებს შეადგენს ჩვე-
ნის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. ზოგებაშვილის საბაასო წე-
რილს აქვს პიროვნული ხასიათი.
მასში ხშირად არის ნახმარი მედიდუ-
რი და დამამცირებელი სიტყვები და
ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონ-
დესთ ადგილი მწერლობაში. მართა-
ლია, ბ. ლულოძემ თვისი უსაფუძველო
და ბოროტ განზრახვის წერილით მი-
მართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს,
რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის
თვისი პედაგოგიურის და ლიტერატუ-
რულის ხანგრძლივის, ფრიად სასარ-
გებლო შრომით ჩვენი საზოგადოები-
სა და ახალი მოზარდის თავობის წინა-
შე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა
ეკადრებია მას იმ გვარი კილო თავის
პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ.
ლულოძის კრიტიკული წერილისა შედა-
რებით უფრო ზომიერია.

დასასრულ მედიატორები. სამარ-
თლიანად ჰხადიან წარმოსთქვენ, რომ
ბ. ბ. ლულოძისა და ზოგებაშვილის
პოლემიკური დავა ისეთი განსაკუთ-
რებითი თვისებისა არ იყო, რომ ის
უთუოდ სამედიატოროდ გამხდარიყო.
ჩვენის აზრით უმჯობესი იყო, ეს
საქმე თვით ჩვენი მკითხველი საზო-
გადოების მსჯელობისთვის მიენდო-
ბ. ლულოძეს.

მს ჩვენი განჩინება უქვევლად დაი-
ბეჭდოს როგორც გაზეთს „დროება-
ში“, ისე ქურნალს „ნობათში.“
რაიცა შეეხება განმარტებითს წერი-
ლებს, რომელნიც მოადვე პირთ
წარმოადგენს მედიატორებს, იმითი
დაბეჭდვა მიენდოს თვით იმათ ავ-
ტორებს, თუ რომ ისურვებენ.

ნამდვილზე ხელ-მოწერილია
მედიატორთაგან.
ნამდვალის თანასწორია.
გიორგი იოსელიანი,
1885 წ. მარტის 2-ს.

სტელეგრამები
„ჩრდილოეთის სააგენტოსა“.
მარტის 5-ს.

პეტარბურგი. ხერსონის საბჭოში
14 ქრისტიანისა და 10 ებრაელის
ხმონებებად ამორჩევის შესახებ,
რაც ქალაქის წესდებასთან მოუ-
თავსებელი იყო, სენატში შეტანილ
იქმნა საჩივარი. სენატმა საჩივარი
საყურადღებოდ იცნო და დაადგი-
ნა, რომ რიცხვი არა-ქრისტიანეთა
სამმართველოში არ უნდა აღემა-
ტებოდეს წევრების სრული რიცხ-
ვის მესამედს ნაწილს.

ნიშ-იორკი. გვატემალის პრეზი-
დენტის ბარიონის დეგრეტის აზრ-
მა შესახებ საშუალო ამერიკის ყვე-

ლა რესპუბლიკების ერთ სახემ-
წიფოდ შეერთებისა, დიდი წინააღმ-
დეგობა გამოიწვია, რადგანაც ეს
ზომები მან მიიღო სხვა სახემწი-
ფოთა შეუტყობლად. ქალაქს ჰა-
ნამას თავს დაესხენ მოჯანყენი,
რომელთაც ეს ქალაქი მარჯვედ
ეწინააღმდეგება.

ლონდონი. საზოგადოებათა ჰა-
ლატამ მიიღო ზღვის ბიუჯეტი,
რომელშიც რიცხვი მატროსებისა
და იუნგებისა აღნიშნულია 5,900-
მდე.

მარტის 6-ს.

პეტარბურგი. გამოცხადდა ცირ-
კულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა
გუბერნატორებისადმი, რომ
მათ შეატყობინონ ნორმალური
სასოფლო ბანკების წესები და
ისიც თუ რა წესით და რა პირო-
ბებით შეიძლება სასოფლო ბან-
კების დაარსება, ვინ უნდა ადევ-
ნოს მათ თვალ-ყური და ვინ უნ-
და მოსპოს მათი მოქმედება; ავ-
რეთვე მოხსენებულთა ცირკულიარ-
ში პირველ მისამდის განხილვი
დამმარებელი და დამზოგველი
კასების რიცხვი სახემწიფო და
სახასო გლეხებისა.

ახალი დროება გვაცნობებს რომ
ამ დღეებში გადასწება შემოდე-
ბულ იქმნას ციმბირში იგივე წესი
გამოძიების შესახებ, რა წესიც თვით
რუსეთში არსებობს.

მოსკოვი. გუბინ გაიარა დივა-
ლიაში შინაგან საქმეთა მინისტრმა
თავის მეუღლითურთ.

ქალაქის თავად ამოიჩინეს სტე-
ფანე ალექსის ძე ტარასოვი და
კანდიდატად ალექსი ალექსანდრეს
ძე ალექსევი.

აქ გადაიკვალა გამოჩენილი
მდიდარი ბუტიკოვი.

ლონდონი. გუბინ მოაწერეს
ხელი დეკლარაციას ეგვიპტის ფი-
ნანსების შესახებ და დღეს დაიწე-
რება კონვენცია.

ალექსანდრია. ინგლისელებმა
დაატუსაფეს და გავზანეს ზებერ-
ფაშა, მისი შვილები და რამდენიმე
სხვა პირები მაჭდისთან კავშირის
დაჭერის გამო.

ცნობანი
მაზანდა

ზორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
და-ხელ 1 მარტილამ 1 აპრილამ-
დე 1885 წ.
გამომცხვარა ზურა ორ-
სეთის ფუქილისა — 1 გ. 5 გ.
აქაურის ფუქილისა: შიჩ-
კელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2
მეორისა — 1 გ. 2 გ.
იმავე ფუქილ. თორენში გამომცხვარა:
შიჩკელი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2

მეორისა —
მესამისა —

ჭკაჩის-მაში ზურა:

შიჩკელი ხარის. ლავაში 1 გ.	4 1/2
მეორის ხარის. ლავაში 1 გ.	3 1/2
მესამისა — — — 1 გ.	3 გ.

ძმოსის ხარის:

შიჩკელის ხარისხისა — 1 გ.	8 გ.
მეორისა — — — 1 გ.	7 გ.
სუკი . . . — 1 გ.	15 გ.
ცხვრის ხარისი — 1 გ.	9 გ.


დარის ხარის:

შიჩკელის ხარისხისა — 1 გ.	
მეორისა — — — 1 გ.	

საავადმყოფოს დირექტორი ბ. ნი
შამიშვილი ამით აცხადებს, რომ ქ.
თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემე
მოსიარულე ავადმყოფოთათვის დაარ-
სებულს საავადმყოფოში 1866 წლის
აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-
ღებული არის მცხოვრებთა შეღავა-
თისათვის ღამლამობით მორიგად ყოფ
ნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

- მძიმები:**
არსთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-
შაბათობით და კვირაობით.
ქორონა, სამშაბათობით და შა-
ბათობით.
მელიძე-შარასლანოვი, ოთხშაბა-
თობით და პარასკეობით.
გამიშვილი:
ვილჩაქოვისა, სამშაბათობით.
გაბინოვისა, ორშაბათობით, და
პარასკეობით.
სტუპანოვისა, ოთხშაბათობით და
შაბათობით.
ლომოსისა. ხუთშაბათობით და
კვირაობით.

განცხადებანი
ინგლისური რკინის ქარაქტები.



ერთის საწოლი 6 მანეთადგან და
ორის საწოლი 10 მანეთადგან, მათი
ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-
დგან 8 მანეთადგან. კაღვე შეშდები ნიუ-
თეპა იყადება 25%-ით უფრო იაფად,
კაღვე სხვაგან სადმე: ბრატანისა მეტა-
ლის ნიუთეპა, ჩაინები, სავარაქე, ს-
მაქე, კოვკეპა, მეფილდის დახები
ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმე-
ლი პარის სახანი, სტაქები, სუფოგნი-
კი, სავარა, სკები, რაუმეკები, საქაშური
თებები, ბლაულები, სასალათები, ტაშ-
ტები, საძებეკები, სამარალები, გარნი-
ცის საფსკეები, პრობკის ამხალეები,
პრობკები, კლიტები, გასადებები, გრან-
ტები, ავარები, ხდისტები, ტახისა-
ძმოსის დასადგებლები, საბადო მაგრატ-
ლები, გაქსები, უთაქები, წისკვილები,
ხეცები, ქლები, ინგლისის თა-
ფები და რეკლეკები, ჰიუები, ზა-
რადები, კანსიულები, საფანკები, ნაჩ-
ბები, გატეპზრუქი, სახები, ჩუქე-
ბა, წინდები, სუფრები, სალქტები,
რგოლები, ემალისი ტურქელი, მურა-
ბები, კამეტები, ჰიულები, სოუსები,
ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბაბაჩეი
და სხვ. ინგლისურს მალაზიებში არწ-
რუნისუელს ქარავალში № 95, 94,
93, 91, და 90, 89, 88, 87, 86,
და 85, უდიდესი ჩაის მალაზია თბი-
ლისში. (100—6)